

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს პარტნიორობის მიერ ჩამოყალიბებული „მონიტორინგის კომიტეტი“ 5 პირის შემადგენლობით, რომელთაგან 2 იქნება ადგილობრივი თვითმმართველობიდან, 1 - სამოქალაქო სექტორიდან, ხოლო 2 - ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი.

მონიტორინგის ჯგუფში დაცული იქნება გენდერული ბალანსი (პირობით 3 ქალი და 2 მამაკაცი ან პირიქით).

ჯგუფი ყოველ 3 თვეში მინიმუმ ერთხელ შეიკრიბება. შეჯამებს შესრულებულ სამუშაოებს და გაანაღებებს მიღწევებსა და ხარვეზებს. იმსჯელებს ხარვეზების გამოძწევ მითხებზე და დასახავს მათი გამოსწორების გზებს. ასევე იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების შესაძლო დამატარებულ ფაქტორებსა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობას სამუშაო ჯგუფი შეაფასებს სამოქმედო გეგმაში მოცემული შედეგებისა და მონიტორინგის ინდიკატორების მიხედვით. ამისათვის საჭირო მონაცემების მოპოვება განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში შესაბამისი სტრუქტურებისა და ვასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით.

მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით შეიქმნება საქმიანობათა აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ყოველდღიურ რეჟიმში აღირიცხება თითოეული აქტივობა, შემსრულებელი/ები და მიღებული ან მოსალოდნელი შედეგი, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პერიოდულად და მოთხოვნის შესაბამისად, გაწეული საქმიანობების ანგარიში წარედგინება „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს, ასევე ადგილობრივ საზოგადოებას.